ფუნქციების გრაფები და მათი კომბინატორული თვისებები

დავით კორტავა

ელ-ფოსტა: davit.kortava716@ens.tsu.edu.ge
მათემატიკის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. №13, თბილისი, 0186, საქართველო

ნებისმიერი ფუნქცია რაიმე სიმრავლიდან თავის თავში, განსაზღვრავს გარკვეულ ეკვივალენტობის მიმართებას ამ სიმრავლეზე. რითაც ამ ფუნქციის ორიენტირებული გრაფი იყოფა ბმულობის კომპონენტებად. ზოგადად საინტერესოა კავშირი ფუნქციის ანალიზურ და მისი გრაფის კომბინატორულ თვისებებს შორის. ნაშრომი ეძღვნება ხსენებულ საკითხებს. განიხილება, ძირითადი ელემენტარული ფუნქციების, ჰამელის ფუნქციების და კანტორის ფუნქციის შესაბამისი გრაფებისა და მონო-უნარული ალგებრების კომბინატორული თვისებები.